MES 3 21 0000050839

31/01/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.01.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:50სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინოდობორჯგინიძე**- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

10. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
11. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
11. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
13. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამარ ბერიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	დავით ელისაბედაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მარიამ ხუროშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
6	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
7	თინათინ დავითაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
8	გიორგი ქავთარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
9	თამარ ღუღუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა (ქართულენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№442, 09.12.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალმცოდნეობა (ქართულენოვანი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law (LLB)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421 Law
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, №2, 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის უნივერსიტეტში „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 04 დეკემბერს დისტანციურად Zoom ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. დაწესებულებაში აკრედიტაციასთან დაკავშირებული ვიზიტი გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში. ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციისა და უსდ-თან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობისას გაირკვა, რომ პროგრამა დაკომპლექტებულია პროფესიონალი აკადემიური პერსონალით, ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში და ნემისმიერ საკამათო თუ პრობლემურ საკითხზე მყისიერად რეაგირებს, ამასთან, აგრძელებს დადებითი და ძლიერი მხარეებისთვის დამახასიათებელი პროცედურების განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს (ონლაინ რეჟიმში) ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის სამსახურს, აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებს, ადმინისტრაციას, დეკანს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს.
ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მიაჩნიათ, რომ პროგრამა არის აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან შესაბამისი. გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა რჩევების სახით მოსაზრებები გამოთქვეს, რომელთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ რჩევები მიიღო, შესაბამისად, მოხდება მათი გათვალისწინება.
რაც შეეხება მე-2 რჩევას, ინტერნაციონალიაციის საკითხს, დაწესებულება მაქსიმალურად შეეცდება გაამდიდროს პროგრამა ინგლისურენოვანი საგნებით, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინგლისურად შეისწავლოს სამართლის ის დისციპლინები, რომლებიც გამომდინარეობს ქართული სამართლიდან, თუმცა წარმოდგენილია საერთაშორისო კონტექსტით. აღნიშნული ასევე ეხება სტუდენტთა მონაწილეობის წახალისებას ერსასმუსის გაცვლით პროგრამებში.
მე-3 რჩევასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სილაბუსსებში მოცემული ინფორმაცია არ იძლევა საგნებში თემატიკის გადაფარვის ვარაუდს, რადგანაც თითოეულ სასწავლო კურსში განხილულია განსხვავებული საკითხები. ,,აკადემიურ წერა“ მოცემულია როგორც სრუდენტისთვის პირველი კურსის განმავლობაშ შესასწავლი დისციპლინა, რომელიც არის სავალდებულო. შემდეგ საფეხურზე ისწვალება ,,საქმიანი წერა“, რომელიც ინგლისურენოვან სასწავლო კურსს წარმოადგენს. რაც შეეხება ,,ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა“, აღნიშნული ისწავლება სწავლების მესამე სემესტრში, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილის გაღრმავებას, პრაქტიკული მიმართულებით. აღსანიშნავია ასევე ,,სამართლებრივი აკადემიური წერა და კვლევა“, რომელიც წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის დაწერისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დისციპლინას და არის არჩევითი სასწავლო კურსი.

მნიშვნელოვანია ასევე მე-5 რჩევა, ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსთან მიმართებით, კერძოდ, აღსანიშნავია, რომ კურსი ეხება ძირითად საოფისე პროგრამებს. სტუდენთა ინტერესებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღნიშნული კურსის აქტიურად შესწავლა.
რაც შეეხება სილაბუსების ტექნიკურად გამართვის საკითხს, დაწესებულების მხრიდან აუცილებლად მოხდება სილაბუსების ხელახლა გადახედვა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული ეხება ასევე ლიტერატურის ხვლილებისა და განახლების საკითხებს. საყურადღებოა, რომ თითოეული სასწავლო კურსის ავტორს, აკადემიური და მოწვეულ პერსონალს ევალება, ლიტერატურის მუდმივი განახლება და მისის თანამედორვე საკითხებთან და გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ რიგ სილაბუსებში განახლებული ლიტერატურის ნაკლებობა გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით, რაც აუცილებლად იქნება აღმოფხვრილი დაწესებულების მიერ. მნიშვნელოვანია ასვევე, რომ აკადემური პერსონალი სილაბუსის შედგენისას დაწესებულების მხრიდან სარგებლობს სრული აკადემიური თავისუფლებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექსპერტებს საინტერესო ვიზიტისა და საჭირო რჩევებისთვის და აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება რჩევების გადახედვა აკადემიური პერსონალის მიერ და მოხდება მათი გათვალისწინების მიზნით საჭირო ცვლილებების გატარება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ, ყურადღება გაამახვილა ,,შესავალი კონსტიტუციონალიზმის“ სასწავლო კურსზე, კერძოდ აღნიშნა, რომ აკადემიური თავისუფლების პრინციპოთ ვერანიარდ ვერ გამართლდება, სახელმწიფო ფინანსების, საზოგადოებირვი უსაფრთხოების, საფინანსო კონტროლისა და გადასახადების საკონსტიტუციო საფუძვლების სრულიად იგნორირება მოცემულ სილაბუსში. გარდა ამისა სილაბუსი საჭიროებს ლიტერატურის განახლებას. რაც შეეხება ,,საქართველოს საკონსტუტუციო სამართალს“, აღსანიშნავია, რომ სილაბუსი არ ფარავს საქართველოს საკონსტუტუციო სამართლის თემატიკას, კერძოდ აუცილებელია აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებისას გათვალისწინებული იყოს საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული საკონსტიტუციო ინსტიტუციები. სილაბუსში ასევე არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება. საყურადღებოა, რომ ,,საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის“ სილაბუსი არ არის ორიენტირებული საქართველოს კონსტუტუციაზე, როგორც უზენაეს აქტზე. მოცემული სასწავლო კურსი იმეორებს ,,შესავალი კონსტიტუციონალიზმის“ ნარატივს, რაც დაუშვებელია, რადგან ,,საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ წარმოადგენს კონრეტულ საგანს, რომელიც ორინეტირებულია უშუალოდ საქართველოს კონსტუტუციაზე და შესაბამისად, უნდა გადოდეს კონკრეტულ სწავლის შედეგებზე.
რაც შეეხება სასწავლო კურსს ,,აკადემიური წერა იურისტებისთვის“, აღნიშნული საგნის სილაბუსში არეულია აკადემიური და სამართლებრივი წერის თემატიკა. მე-5, მ-9, მე-10 და

მე-11 კვირებში განხილულია უშალოდ სამართლებრივი წერის საკითხები, შესაბამისად, ექსპერტთა რჩევებიც საგნების გადაფარვის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, სწორედ მოცემულიდან გამომდინარეობს. აღსანიშნავია ასევე ,,საქმიანი წერა“, რომელის საკმაოდ მნიშვნელოვან და საჭირო სასწავლო კურსს წარმოადგენს, თუმცა, უმჯობესია მოხდეს მისი მოდიფიკაცია. შესაძლებელია როგორც მისი სახელწოდების ცვლილება და მეტად სამართალზე ორიენტირება, ასევე მისი შინაარსობრივი დახვეწა და არასამართლებრივ საგნებისთვის მიკუთნება, ვინაიდან მხოლოდ ,,საქმიანი წერა“ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით ვერ გავა სამათლის პროგრამის შედეგებზე.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ ასევე ყურადღება გაამახვილა ,,შესავალი იურიდიული პროფესიის“ სასწავლო კურსზე და აღნიშნა, რომ საგნის უმთავრესი ნაწილი მოიცავს საადვოკატო ეთიკის შესწავლას, რომელიც არ წარმოადგენს შესავალს იურიდიულ პროფესიაში.

სასწავლო კურსი, თავისი სახელწოდებისა და შინაარსიდან გამომდინარე, ორიენტირებული უნდა იყოს თავად იურიდიული პროფესიის სპეციალობების კონკრეტული მიმართულებების უფლებამოისლებებზე, დარგის სა საქმიანობის სპეციფკასა და მათ შორის ეთიკის საკითხის გათვალისწინებაზე. აუცილებელია, რომ საგნის სახელწოდება და მისი შინაარსი შესაბამისობაში მოდიოდეს ერთმანეთთან.

დიმიტრი გეგენავამ ასევე ისაუბრა ,,სამშენებლო სამართლის" ,,მედია სამართლისა" და ,,ჯანდაცვის სამართლის" სასწავლო კურსებზე და განმარტა, რომ მოცემული საგნების, თავიანტი შინაარსიდან გამომდინარე, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მიეკუთვნებიან მაგისტრატურის სწავლების დონეს, ვინაიდან ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საფუძვლებს, არამედ, ეხება დარგის შინაარსობრივ პრობლემურ საკითხებს, რაც კომპლქსურ და ღრმა მიდგომებს მოითხოვს.

რაც შეეხება ,,საკონსტიტუციო სამართალწარმოების" სილაბუსს, პირველიდან, მე-9 თემამდე საკითხები ორიენტირებულია საკონსტუტუციო კონტროლსა და მის მექანიზმებზე და არა უშუალოდ საკონსტუტუციო სამართალწარმოებაზე. ,,საკონსტიტუციო სამართალწარმოება", რომელიც გათვალისწინებულია ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, წარმოადგენს პროცესუალურ საგანს, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს საკონსტიტუციო კონტროლთან, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის პრაქტიკული განხორციელების პროცესუალურ მოწესრიგებას. აქედან გამომდინარე, თუკი საგანს დაერქმევა, ,,საკონსტიტუციო კონტროლი და საკონსტიტუციო სამართალსწარმოება", ამ შემთხვევაში მოხდება არსებული შინაარსობრივი ხარვეზის აღმოფხვრა. ამ ეტაპზე, სასწავლო კურსის სახელწოდება არ არის მისი შინაარსის შესაბამისი, გარდა ამისა სილაბუსში მოცემული ლიტერატურა არის მოძველებული და არ ფარავს მასში განხილულ ძირითად საკითხებს. აუცილებელი ლიტერატურას დაემატოს ახალი თემატური წყაროები. საყურადღებოა ასევე, რომ სასწავლო კურსი არ გადის გთვალისწინებულ შედეგებზე.

აღსანიშნავია, ასევე ,,რომის სამოქალაქო სამართალი", კერძოდ აღნიშნულ სასწავლო კურსში ასევე იკვეთება სახელწოდების პრობლემა, ვინაიდან თემატურად ხდება რომის სახელმწიფო სამართლისა და სისხლის სამართლის შესწავლა. უმჯობესია სასწავლო კურსის სახელწოდება ჩამოყალიბდეს, როგორც ,,რომის სამართალი. ასევე შესაძლებელია საკითხების იმგვარად გადანაწილება, რომ არ ისინი მოდიოდნენ წინააღმდეგობაში სასწავლო კურსის სახელწოდებასთან.

დიმიტრი გეგენავამ ასევე აღნიშნა, რომ რეპეტიტორიუმი სამოქალაქო სამართალსა და სისხლის სამართალში სამწუხაროდ, არ არის ორიენტირებული პრაქტიკულ საკითებზე. სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმი წარმოადგენს სანივთო დავალდებულებითი სამართლის განმეორებას, როგორც ლიტერატურა, ასევე თემატიკა არის იდენტური. რაც შეეხება რეპეტიტორიუმს ადმინისტრაციულ სამართალში, მოცემული სასწავლოს კურსის სახელმწოდება არის სრულიად შეუსაბამო, ვინაიდან, მოცემული საგანი თავისი შინაარსითა და მიზნებით წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და აუცილებელია ისწავლებოდეს ამ სახით. რეპეტიტორიუმი გულისხმობს ათვისებული, განვლილი მასალის სიღმისეულ გავლას, თუმცა დაუშვებელია იდენტური შინაარსისა და ლიტერატურის გამოყენება. რეპეტიტორუმის შემთხვევაში მნიშვნელოვანია სწავლების მეთოდის ცვლილება, კერძოდ აქცენტი ძირითადად უნდა გაკეთდეს პრაქტიკულ ნაწილზე.

რაც შეეხება ,,სააღსრულებლო სამართლის" სილაბუსს, აღნიშნული აუცილებლად საჭიროებს ლიტერატურის განახლებას. ბოლო სამი წლის განმავლობაში საკითხთან მიმართებით გამოიცა არა ერთი სახელმძღვანელო, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის მოცემული საგნის სილაბუსში. არ არის ასევე მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებები და სასამართლო პრაქტიკა.

მნიშვნელოვანია ასევე რომ იკვეთება გადაფარვა ,,შესავალ კონსტიტუციონალიზმისა" და ,,სამართლის საფუძვლების" სასწავლო კურსებს შორის. საყურადღებოა, რომ ორივე მათგანი

წარმოადგენს პირველი სემესტრის სავალდებულო საგანს, თუმცა მე-12 და მე-13 კვირების თემატიკა სილაბუსებში არის ზუსტად იდენტური. დაუშვებელია ორი სხვადასხვა საგნის მეშვეობით სტუდენტმა შეისწავლოს ერთი და იგივე სამართლებრივი საკითხები.
გარდა აღნიშნულისა, ,,იურდიული ფსიქოლოგიის" სასაწავლო კურსის სახელწოდება არ შეესაბამება მის შინაარს. საგნის შინაარსიდან გაომდინარე, არის მცდელობა გაერთიანდეს ფსიქოლოგიის საფუძვლები, ზოგადი ფსიქოლოგია და იურიდიული ფსიქოლოგია. საყურადღებოა, რომ ფაქტობრივად, პირველი ცხრა თემა ფარავს ზოგადი ფსიქოლოგიის საკითხებს, ხოლო მე-10 კვირიდან იწყება იურიდიული ფსიქოლოგია, თუმცა, განხილულია მხოლოდ სისხლის სამართლის ფსიქოლოგია, სადაც საუბარია, კრიმინოლოგიურ ასპექტებზე. იურიდიული ფსიქოლოგია მოაცავს არა მხოლოდ სისხლის სამართლის საკითხებს, არამედ, კერძო სამართლისა და ეთნო ფსიქოლოგიის თემატიკებსაც.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავა, ყურადღება ასევე გაამახვილა ,,ევროკავშირის სამართლის სასწავლო კურსზე", კერძოდ აღნიშნა, რომ სილაბუსში მოცემული ლიტერატურა არის საკმაოდ მოძველებული. გაუგებარია ასევე სილაბუსის მე-9 და მე-10 თემები, რომლებიც შეუსაბამოა ევორკავშირის სამართალთან. საგნის შინაარსი საჭიროებს გადახედვას და დახვეწას ასევე აუცილებელია ლიტერატურის განახლება.
აღსანიშნავია, ასევე, რომ პროგრამით არ არის გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და საკონსტიტუციო პრაქტიკის სიღრმისეული შესწავალა. ძირითად ლიტერატურაში ხშირად ხდება კონსტიტუციის კომენტარის მითითება, რომელიც 2013 წელს არის გამოცემული და არის საკამოდ მოძველებული. არ არის ასევე გათავლისწინებული უშუალოდ ადამიანის უფლებათა სამართალში კაზუსის ამოხსნის სპეციფიკა, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია. არ ისწავლება ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლების გამოყენების შეფასების ტესტები, რაც გულისხმობს იმა,ს რომ ფაქტობრივად საგანი შედეგზე ვერ გადის. საყურადრებოა, ასევე, რომ სასწავლო კურსის აღწერილობაში მითითებულია კონსტიტუციის არ არსებული და ძველი მუხლები. ადამიანის ძირიითად უფლებატა სამართლის შესწავლა ხორციელდება კონსტიტუციის ძველი რედაქციით, რაც ყოვლად დაუშვებელია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა ასევე გამოთქვა თავისი აზრი პროგრამასა და მასში არსებულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი ,,საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების სამართალი" საკმაოდ სიანტერესო და საჭირო სასწავლო კურსი ჩანს. იგი დაინტერესდა თუ რისი სწავლის შესაძლებლობა აქვთ სტუდენტებს მოცემული საგნის ფარგლებში. საიტერესოა თუ რაზე არის ორინეტირებული სასწავლო კურსი, უშუალოდ საერთაშორისო ორგანიზაციებზე, მათ ორგანიზაციულ მოწყობაზე თუ ძირითადად განხილულია საკორპორაციო სამართლის, როგორც კერძო ორგანიზაციების შიდაკორპორაციული საკითხები? ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმაზე და დაინტერესდა, მოიცავს თუ არა აღნიშნული სასწავლო კურსი ორგანიზაციული თეორიისა და სოციოლოგიის საკითხებს, რადგან კურსის მიზნიდან გამომდინარე ამ საკითხების შესწავლა აუცილებელიც უნდა იყოს სტუდენტებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ყურადღება გაამახვილა „რეპეტიტორიუმზე კერძო სამართალში" და დაინტერესდა, რითი განსხვავდებოდა იგი კერძო სამართლის სავალდებულო კურსებისაგან. იყო თუ არა საკითხებში გრავირებული განსხვავება, მათ სტრუქტურასა და სიღრმეში. არის თუ არა ლიტერატურაში განსხვავება? სრულდებოდა თუ არა რეპეტიტორიუმით საბაკალავრო პროგრამა? იყო თუ არა პროგრამით გათალისწინებული სამართლის სხვა მიმართულებებით მსგავსი რეპეტიტორიუმი? აღინიშნა, რომ მსგავსი სასწავლო კურსი ძირითადად, დამახასიათებელია ევროპული ქვეყნების სამართლის, მეტადრე, გერმანული პროგრამებისთვის. თუმცა იქაურ პროგრამებში მათი არსი, სტრუქტურა და აგებულება სხვაგვარია და ძირითადად მოიცავს მატერიალურ-სამართლებრივ და საპროცესო-სამართლებრივ საკითხთა კორელაციაზე დაფუძნებულ პარადიგმებს. რეპეტიტორიუმი უნდა იყოს არა მხოლოდ გაღრმავება, არამედ კომბინაცია სხვადასხვა კომპლექსურად წარმოჩენილი და ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული

სამართლებრივი საკითხებისა, რომელიც ეხება როგორც მატერიალურ, ისე პროცესუალურ სამართალს. პირველ რიგში რეპეტიტორიუმის მიზანია, სტუდენტმა კომპლექსურად გაიმეოროს ესა თუ ის სამართლის დარგის სხვა დარგებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მომცველი საკითხები. პროგრამაში მოცემულ რეპეტიტორიუმის სილაბუსში ძირითადად განხილულია სანივთო და ვალდებულებითი სამართალი, ხოლო მწირედ არის წარმოდგენილი სახელშეკრულებო სამართლის საკითხები. საერთოდ არ არის მოცემული მასთან დაკავშირებული და უშუალო კორელაციაში მყოფი მომიჯნავე დარგიდან საკითხები, თუმცა არსებითად მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის ფარგლებში ასევე განხილული იყოს პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხები. რეპეტიტორიუმში კომბინირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა სამართლის დარგის ნაზავი, რომელშიც მიზნობრივად უნდა იყოს ინკორპორირებული საპროცესო სამართალიც. ასვე მნიშვნელოვანია, რეპეტიტორიუმის დაფუძნება უპირატესად სასამართლო პრაქტიკაზე. აუცილებელია მოხდეს მნიშნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვა და მათი ანალიზი აღნიშნულ კურსში, რაც წარმოდგენილი სილაბუსიდან არ იკვეთება.

რაც შეეხება ,,სააღსრულებლო სამართალს''. მოცემულ სასწავლო კურსთან მიმართებით არის ლიტერატურის არსებითი პრობლემა. ზოგიერთი კვირის ძირითად ლიტერატურად მითითებულია კანონი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ თავი შეიკავოს ლიტერატურად მხოლოდ კანონის მითითებისგან. კანონი არ არის სამართლის შემეცნების წყარო და მითუმეტეს, მისი მეთოდოლოგიური საფუძველი. ასე, მაგალითად, მე-6 კვირის თემატიკა მხოლოდ კანონს ეყრდნობა ლიტერატურის სახით. მე-7 კვირა - იგივეა; მე-9 კვირა - აქაც მხოლოდ ორი კანონია ლიტერატურად მითითებული; მე-11 კვირა - იგივე; მე-12 კვირაში მოცემულია სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, თუმცა ლიტერატურაში საერთოდ არ არის განხილული სასამართლო გადაწყვეტილებები, მაშინ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებები, მათ შორის უზენაესი სასამართლოს ერთიანი ჩამოყალიბებული პრაქტიკა სააღსრულებო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით, უხვად არის თანამედროვე ქართულ სამართალში და იგი ამ საგნის შესწავლის დოგმატურ საფუძველსაც ქმნის, რაც იურისტისათვის არსებითად მნიშვნელოვანია. არ არის განზოგადებული ასევე კაუტელაური იურისპრუდენციის საკითხები, რაც ამ სფეროში აგრეთვე პრობლემას არ წარმოადგენს, მითუმეტეს, კურსს უშუალოდ ამ სფეროს პრაქტიკოსი ასწავლის. მე-13 კვირა - აქაც მხოლოდ კანონია ლიტერატურაში მითითებული. მიზანშეწონილი იქნებოდა ასევე მოცემულ სილაბუსში (და ეს არა მხოლოდ აღნიშნულ საგანს, არამედ სხვა ბევრ საგანსაც ეხება) გადაიხედოს სწავლების მეთოდები. თუ კონკრეტულ სილაბუსში მითითებულია სწავლების მეთოდები, მაშინ იგი რელევანტური და სწავლების დროს რეალურად გამოყენებადი უნდა იყოს და ეს ყველაფერი აღქმადი უნდა იყოს სილაბუსიდან.

მნიშვნელოვანია ასევე ,,საინვესტიციო სამართლის" სილაბუსი, რომელშიც ასევე იკვეთება ლიტერატურის პრობლემა. მე-7 კვირაში საერთოდ გამორჩენილია ლიტერატურა, რაც სავარაუდოდ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს. მე-10 კვირაში მითითებულია მხოლოდ კანონები და დამატებითი ლიტერატურა. საბჭოს თვმჯდომარემ აღნიშნა, რომ აუცილებელია, ამ კვირის თემისთვის მითითებული ლეტარატურიდან ამოღებული იყოს რიგი კანონებისა, განსაკუთრებით მეწარმეთა შესახებ კანონი, რადგან აღნიშნული კანონი არ ეხება სასწავლო კურსით გათვალისწინებულ საკითხებს.

საბჭოს თვამჯდომარემ ასევე ისაუბრა სავალდებულო საგნის ,,საკორპორაციო სამართლის" სილაბუსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სილაბუსი საჭიროებს გადამუშავებას. უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურა არის საკმაოდ მწირედ წარმოდგენილი და საჭიროებს განახლებასა და დამატებას. ბოლო პერიოდში სამართლის ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი იურიდიული ლიტერატურა დაგროვდა სხვადასხვა სახის მონოგრაფიის, სტატიისა თუ მასალის სახით. სილაბუსის პირველი თავი ეხება სამეწარმეო საკითხების განხილვას, მაშინ, როცა განხილული უნდა იქნეს საკორპორაციო სამართლის საკითხები. მიჯნა სამეწარმეო სამართალსა და საკორპორაციო სამართალს შორის, როგორც ჩანს, დღემდე ნიველირებულია

ზოგიერთი უნივერსიტეტის აღნიშნულ კურსში, არადა კონტინენტური სამართლის ოჯახს მიკუთვნებული ქვეყნისათვის, სადაც უპირატესად დარგთაშორისი დაყოფაა სამართლისა (და ამას მიეკუთვნება საქართველოც), ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. როგორც ითქვა, ამის მაგალითს აღნიშნულ სილაბუსში პირველი კვირის პირველი თემა წარმოადგენს; მე-2 სალექციო კვირაში ლიტერატურად განსაზღვრულია მხოლოდ კანონი, რაც საჭიროებს ლიტერატურით გამდიდრებას, რადგან საკითხებთან მიმართებით არსებობს საკმაოდ ბევრი ახალი ლიტერატურა; მე-4 კვირაში განხილულ საკითხებთან მიმართებით ასევე არსებობს ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ იყოს დამატებული. მნიშვნელოვანია ასევე, რომ მე-4 კვირაში მოცემულია ლადო ჭანტურიას სახელმძღვანელო, რომელიც არ ფარავს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხებს. მე-5 კვირა მოიცავს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებს, თუმცა საგნის ერთიან სტრუქტურაში არსებითად არამიზანშეწონილია აღნიშნული საკითხების განხილვა აქ, მაშინ როცა მე-5 კვირამდე სილაბუსით არ არის გათვალისწინებული იმ სამართლებრივი ფორმების შესწავლა, რომელსაც ეხება რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სამართალი. თუ სტუდენტს ჯერ არ აქვს შესწავლილი სამეწარმეო საქმიანობის განხოციელების ესა თუ ის კონკრეტული ფორმა სიღრმისეულად, როგორ შეძლებს იგი ამ საკითხების (რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია) ათვისებას?! გაუგებარია ასევე რითი ხდება სწავლება მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კვირებში, რადგან საერთოდ არ არის მითითებული ლიტერატურა. აქ მოცემულია მხოლოდ კანონის ნორმები.

აღსანიშნავია, ასევე რომ ერთი და იგივე აკადემიური პერსონალი ასწავლის საკმაოდ ბევრ საგანს, რის შედეგადაც პროგრამაში გვხვდება ბევრი ხარვეზი. ,,საფინანსო სამართლის' სილაბუსში გვხვდება რიგი ტექნიკური ხარვეზებისა ასევე ლიტერატურაში მოცემულია გაუქმებული კანონი (მაგალითად, მე-4 კვირა. 1993 წ. კანონი), შესაბამისად საჭიროებს განახლებასა და ლიტერატურის დამატებას.

რაც შეეხება ,,ფასიანი ქაღალდების სამართლის" სილაბუსს. საყურადღებოა, რომ საგნის შინაარსი მის სახელწოდებას არ შეესაბამება, რადგან მოცემულია საკითხები, რომელიც ფარავს არა ფასიანი ქაღალდების სამართლის, არამედ ფასიანი ქაღალდების ბაზრის (კაპიტალის ბაზრის) სამართლის საკითხებს. გარდა ამისა, ლიტერატურა ასევე საჭიროებს განახლებასა და დამატებას. მე-7 სასწავლო კვირაში ლიტერატურად მითითებულია ირაკლი ბურდულის სახელმძღვანელო, თუმცა აღნიშნული წიგნი არ ფარავს სილაბუსში მოცემული მე-7 კვირის საკითხებს. საერთოდ არ არის გამოყენებული ჯიბუტისა და ყირანაშვილის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის კომენტარი, რომელიც ერთადერთი კომენტარია ამ სფეროში და თუკი სტუდენტს ამ სფეროში რამეს ვასწავლით ქართულ ენაზე, ამ წიგნის გამოყენება აუცილებელი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლექტორს ან კონსპექტი უნდა ჰქონდეს მომზადებული ან ჩამანაცვლებელი სხვა ლიტერატურით უნდა ჰქონდეს კომპენსირებული. არც ერთსა და არც მეორეს ადგილი არ აქვს ამ შემთხვევაში. გაუგებარია, თუ როგორც ისწავლება მე-6 კვირის საკითხები იქ მოცემული ლიტერატურით? მე-7 კვირაში მითითებულ საკითხებს როგორ ფარავს ი. ბურდულის აღნიშნული მონოგრაფია?! ამ წიგნში სხვა საკითხებია მოცემული. ეს კი არასერიოზულია. მე-9 კვირას ლიტერატურა საერთოდ არ აქვს; მე-10 კვირის ლიტერატურაში მიზანშეწონილი იქნებოდა ი. ბურდულის დამაფუძნებელი სტატიის მითითება, რომელიც სავალდებულო სატენდერო შეთავაზებასა და აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტებს შეეხება; მე-12 კვირა - აქაც ლიტერატურა არ არის მიზნობრივ; მე-13 კვირაც იგივეა. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, უდიდესი ალბათობით საგანს არ შეუძლია სტუდენტი შედეგზე გაიყვანოს.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ისეთი სასწავლო კურსები და საკითხები, რომლებიც ბაკალავრის სტუდენტებისთვის ასათვისებლად საკმაოდ რთული უნდა იყოს, რადგან მათ სწავლების მოცემულ ეტაპზე არ აქვთ შესაბამისი ცოდნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე არ არიან წარმოდგენილნი რიგი სილაბუსების ავტორები, შესაბამისად, კონკრეტული პასუხების გაცემა სასწავლო კურსების შინაარსთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით შესაძლოა წარმოადგენდეს დაბრკოლებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ,,სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმთან" დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსს აქვს ორი კომპონენტი. რეპეტიტორიუმის მიზანს წარმოადგენს განვლილი მასალის სიღრმისეულად გამეორება. რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებების სილაბუსში დამატებას, მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება არა შინაარსობრივ, არამედ ტექნიკურ პრობლემას. საყურადღებოა თუ რამდენად არის საჭირო სილაბუსში დეტალურად გაიწეროს წყაროები, გადაწყვეტილებები და კანონები. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო არ მიუკუთვნება პრეცენდენტული სამართლის ქვეყნებს, საერთო სასამართლოების შესახებ კანონის თანახმად, სავალდებულო ძალა აქვს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებს. ცხადია სილაბუსში შესაძლებელია მიეთითოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით და სასწავლო კურსის ფარგლებში ასეც ხდება. სტუდენტები მუდმივად ეცნობიან სასამართლო პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სასწავლო კურსისა და რეპეტიტორიუმის სწავლებისას არ ხდება ერთი და იგივე საკითხების გამეორება, რეპეტიტორიუმი წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებულ გაღრმავებულ სწავლებას. ის რომ აღნიშნული, არ ჩანს სილაბუსიდან, წარმოადგენს ტექნიკურ პრობელმას. საყურადღებოა ის საკითხი, არის თუ არა ლექტორი ვალდებული მიუთითოს სასამართლო გადაწყვეტილებები სილაბუსში ჩამოთვლილ ლიტერატურაში, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები, სასამართლო პრაქტიკა და კონკრეტული კანონები მუდმივად განიცდიან ცვლილებასა და მოდიფიკაციას, შესაბამისად, ის რაც დღეს არის დამკვიდრებული პრაქტიკა, ხვალ შეიძლება სრულიად შეიცვალოს. აღნიშნული კი სილაბუსს გამოუსადეგარს ხდის და ართულებს სასწავლო კურსის შედეგებზე გასვლის პროცესს. იგივე ეხება ,,ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმს". როგორც აღინიშნა, სასწავლო კურსი მოიცავს ორ კომპონენტს, პირველი ეს არის უშუალოდ გაღრმავება, ხოლო მეორე აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე დაფუძნებული სწავლება. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების, ისევე როგორც კანონების მითითება სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის მიზანშეწონილი. დაწესებულება არ ეთანხმება საბჭოს წევრების მიერ გამოთქმულ შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული სასწავლო კურსი არ გადის შედეგებზე, რადგან სილაბუსში მითითებულია როგორც ძირითადი, ასევე დამატებიტი სახელმძღვანელოები. ფაკულტეტეზე არსებული მონიტორინგის სამსახური მუდმივად ამოწმებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და ლექტორების ჩართულობას.

რაც შეეხება ,,რომის სამოქალაქო სამართალს", ტერმინი სამოქალაქო მიემართება არა სამოქალაქო სამართალს თანამედროვე გაგებით, არამედ რომის მოქალაქეების სამართალს, შესაბამისად სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულია როგორს სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხები. პროგრამის ერთ-ერთ გამასხავებელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული საგანი მიეკუთვნება სავალდებულო სასწავლო კურსებს და უქმნის სტუდენტს თანამედროვე სამართლის ინსტუტუტებზე ისტორიულ წარმოდგენას. სწავლების დროს სტუდენტი ეცნობა ისეთ ფუნდამენტუს საკითხებს, როგორიცაა სახელშეკრულებო სამართალი, უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, ვალდებულებები და გარიგებები. ისტორიული კონტექსტი შედეგებში სწორედ, რომ ამ საკითხებიდან გამომდინარეობს.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამა მით უფრო ღირებულია, რაც უფრო მეტ კომპონენტს შეიცავს. პროგრამას, სხვა სამართლის პროგრამებისგან სწორედ, რომ სასწავლო კურსების მრავალფეროვნება გამოარჩვეს. არჩევითი სასწავლო კურსები რა თქმა უნდა არ მოიაზრებენ კონკრეტული საკითხების სრულყოფილად

შესწავლას იმგვარად, რომ სტუდენტს შემდგომ არ დასჭირდეს მაგისტრატურის საფეხურზე მათი გაღრმავება. ცხადია, რომ შეფასების საგანია რიგი კურსების დაძლევადობა საბაკალავრო საფეხურზე.

რაც შეეხება ,,შესავალი იურიდიული პროფესიების" სასწავლო კურსს, შესაძლოა სათაური იქნეს მოდიფიცირებული, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ საკითხს. საყურადღებოა ასევე, რომ დარგობრივი მახასიატებლის მიხედვით, სამოსამართლეო ეთიკის რიგი საკითხები გადასულია სამაგისტრო საფეხურის სწავლებაზე. რაც შეეხება საბაკალავრო სწავლებას, აღნიშნულის შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საადვოკატო ეთიკაზე, თუმცა სილაბუსში განხილულია, როგორც პროკურორის ასევე მოსამართლის ეთიკის საკითხები.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ კვლავ გამოყო ,,საკონსტიტუციო სამართალწარმოების" სილაბუსი, რომელშიც საკითხები ძირითადად ორიენტირებულია საკონსტუტუციო კონტროლსა და მის მექანიზმებზე და არა უშუალოდ საკონსტუტუციო სამართალწარმოებაზე. აუცილებელია სათაურს დაემატოს საკონსტიტუციო კონტროლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თემატიკის ნაწილი სათაურთან იქნება სრულ შეუსაბამობაში, ჩასამატებელია ასევე უწყებრივი ქვემდებარეობისა და მოსაწესრიგებელი სხდომის საკითხები. სილაბუსი საჭიროებს ლიტერატურის განახლებას. ასევე მნიშვნელოვანია პრაქტიკული ნაწილის შეფასების კომპონენტები ასახული იქნეს სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება განუყოფელი ცნებებია, ვინაიდან კონტროლი რეალიზდება სწორედ სამართალწარმოებით. რაც შეეხება სათაურის ცვლილების საკითხს, დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას, რაც უფრო მეტად გამოაჩენს საგნის შინაარსა და მიზნებს. რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმებს, ყოველ თემატიკაზე სტუდენტებს ეძლევათ განსხვავებული დავალებები, შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმები გაწერილია ზოგადად პრაქტიკული დავალებისთვის, რომლის შინაარსიც იქნება ყოველკვირეული თემატიკის შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგარმაში არსებული სასწავლო კურსების უმეტესობა საჭიროებს ლიტერატურის დამატებასა და განახლებას, რადგან რიგ საგნებში, განსაკუთრებით კი ,,საკორპორაციო სამართალში" საერთოდ არ არის მოცემული ლიტერატურა მე-8 სასწავლო კვირის მასალაში, შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენს სწავლის შედეგებზე გასასვლელად დამაბრკოლებელ გარემოებას. აუცილებელია ამ კუთხით მოხდეს რიგი ცვლილებების გატარება, ლიტერატურის დახვეწა და გამრავალფეროვნება.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საბჭოს მხრიდან არსებული შენიშვნებისა და რჩევების უმრავლესობა არის ტექნიკური ხასიათის. რაც შეეხება ,,ფასიანი ქაღალდების სამართლის" საკითხს, აღნიშნული შესაძლოა საბჭოს რჩევის შესაბამისად ამოღ ებული იქნეს პროგრამიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ რჩევის მიზანს არ წარმოადგენდა სასწავლო კურსის პროგრამიდან ამოღება, თუმცა გასათვალისწინებელია ის საკითხები, რომლებიც მოცემულია სილაბუსში და მათი შესწავლის საშუალებები. მოცემული კი გამომდინარეობდა იქიდან, რომ სილაბუსში არ იყო მოცემული სათანადო ლიტერატურა და საკითხთა წყობა.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ ასევე გამოყო ,,აკადემიური წერის" სილაბუსი და აღნიშნა, რომ მოცემულ სასწავლო კურსში არ უნდა ისწავლებოდეს მე-5, მე-9, მე-10 და მე-11 სასწავლო კვირების მასალა, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს სამართლებრივი წერის საკითხებს და შესაბამისად, ხდება გადაფარვა. დაუშვებელია ასევე ესეს დაწერა გათვალისწინებული იყოს საბაკალავრო სწვალებისას ,,აკადემიური წერის" სილაბუსით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსი პროგრამაში არის ახალი, მისი შექმნა განპირობებულია იმით, რომ მე-4 კურსზე პრაქტიკული დავალებიბის შესრულებისას სტუდენტებმა საფუძვლიანად არ იცოდნენ ისეთი საკითხები, როგორიცაა მაგალითად წერისას არგუმენტებისა და აზრის ფორმირება.

აღნიშნული დაეხმარება სტუდენტებს კვლევითი კომპონენტებისა და ელემენტების დაძლევაში. მე-5 კვირის ნაწილი მოიცავს არგუმენტის საკითხებს, რომელიც ძირითადად ისწავლება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, რადგან წარმოადგენს სამეცნიერო კვლევისთვის დამახასიათებელი უნარებს. თუმცა საბაკალავრო სწავლების პირობებში აღნიშნული ისწავლება საწყის დონეზე, რათა სტუდენტებმა შეძლონ ნებისმიერ დოკუმენტისა თუ ნაშრომის შექმნისას გაამყარონ თავიანთი პოზიციები და სტრუქტურულად ჩამოაყალიბონ ისინი.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრმა, ,,შესავალი კონსტიტუციონალიზმის" სასწავლო კურში არ არის მოცემული სახელმწიფო ფინანსების, საზოგადოებირვი უსაფრთხოების, საფინანსო კონტროლისა და გადასახადების საკონსტიტუციო საფუძვლების საკითხები. გარდა ამისა სილაბუსი საჭიროებს ლიტერატურის განახლებას. რაც შეეხება ,,საქართველოს საკონსტუტუციო სამართალს", აღსანიშნავია, რომ სილაბუსი არ ფარავს საქართველოს საკონსტუტუციო სამართლის თემატიკას, კერძოდ აუცილებელია აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებისას გათვალისწინებული იყოს საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული საკონსტიტუციო ინსტიტუციები. სილაბუსში ასევე არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება. ,,საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის" სილაბუსი არ არის ორიენტირებული საქართველოს კონსტუტუციაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოცემული საკითხები იმის მიუხედავად, რომ პირდაპირ არ არის მოცემული სილაბუსში მუდმივად განიხილება ხელისუფლების კონკრეტულ შტოსთან მიმართებით სალექციო და სასემინარო სწავლების დროს. თუმცა, დაწესებულება სრულიად იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას და შესაბამისად, ის აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

რაც შეეხება ,,შესავალს კონსცტიტუციონალიზმსა" და ,,სამართლის საფუძვლებს" შორის თემატიკის გადაფარვის საკითხს, აღნიშნული პრობლემის იდენტიფიცირება მოხდა დროულად და შესაბამისად, ,,სამართლის საფუძვლების" სილაბუსის საბოლოო ვერსიაში, აღნიშნული საკითხები აღმოფხვრილია. ,,შესავალი კონსტიტუციონალიზმის" საკითხთან მიმართებით, დაწესებულება სრულიად იზიარებს საბჭოს მოსაზრებას, შესაბამისად მოხდება რეკომენდაციების გათვალისწინება.

ტექნიკური პრობლემა იკვეთება ასევე ,,ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა" სასწავლო კურსის სილაბუსში. საბჭოზე წარდგენილია შედარებით ძველი სილაბუსი, საბოლოოს შესწორებების გარეშე, რომელსიც მოცემულია არა ბოლო, არამედ წინა რედაქციის კონსტიტუციის მუხლები. შესაბამისად, აქედან გამომდინარეობს სილაბუსში არსებული პრობლემა თემატიკების ნუმერაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ლექციებისა და სემინარების ფარგლებში ხდება ყურადღების გამახვილება არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ მიმართა დაწესებულების ლექტორს, დავით გეფერიძეს და აღნიშნა, რომ სილაბუსით გათვალისწინებული ქართულენოვანი ლიტერატურა არის საკმაოდ მოძველებული და შესაბამისად საჭიროებს განახლებას. გარდა ამისა განხილვაში მოცემულია ადმისნი უფლებათა ევროპული კონვენცია, თუმცა ინგნორირებულია ადამიანის უფლებათა ქარტია. მე-9 სალექციო თემა ეხება ევროპული კონვენციის გამოყენებას საქართველოში, რაც საერთოდ არ არის კავშირში ევროკავშირის სამართალთან. მე-10 კვირის თემად განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის წესი, რომელიც ასევე არ არის კავშირში ევროკავშირის სამართლის საკითხებთან.

სასწავლო კურსის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის გამოყენებისა და სტრაბურგის სასამართლოსადმი მიმართვის წესის სილაბუსში ჩართვა გამომდინარეობს ასოცირების შეთანხმებიდან. რაც შეეხება ლიტერატურის საკითხს, შესაძლებელია მისი განახლება და ახალი ლიტერატურის დამატება.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ ასევე აღნიშნა ,,ადამიანის ძირითად უფლებათა“ სილაბუსი და განმარტა, რომ ლიტერატურაში მითითებულია კონსტიტუციის ძველი გამოცემა. ძირითად ლიტერატურაში განსაზღვრულია კონსტიტუციის კომენტარი, რომელიც დღეისთვის სრულიად არარელევანტურია. არ არის მითითებული თანამედროვე ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოები, რომლებიც, გამოიცა ბოლო ორი წლის მანძილზე. სილაბუსის მიხედვით, არ არის გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა სამართალში კაზუსის ამოხსნის შეფასების კრიტერიუმები. აღსანიშნავია ასევე რომ სილაბუსის მიხედვით არ ხდება მკაცრი და დიფერენციაციის ტესტების განხილვა, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია შედეგზე გასასვლელად. გარდა აღნიშნულისა, არ ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ინტეგრირება სალექციო სწავლების პროცესში.

16:30 საბჭოს სხდომა დატოვა ირმა წერეთელმა

საბჭოს თავმჯდომარემ ,,სააღსრულებლო სამართლის“ სილაბუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასში მოცემულია ისეთი საკითხები, რომელთა შესასწავლადაც არ არსებობს და არ არის გათვალისწინებული შესაბამისი ლიტერატურა. ლიტერატურაში ძირითადად მითითებულია მხოლოდ კანონი. მე-11 კვირაში მოცემულია პრაქტიკის განხილვა, თუმცა სილაბუსით არ არის გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის რამოდენიმე სალექციო თემა, რომელსაც არ აქვს ლიტერატურა მითითებული, კერძოდ მოვალეთა რეესტრის საკითხებს, თავად ლექტორი აწვდის სტუდენტებს პრეზენტაციების სახით, რომელიც ასევე არის დაწესებულების შესაბამის საიტზე სასწავლო მასალებში ატვირთული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:58

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს მითითებული სასწავლო მასალა და განახლდეს რელევანტური თანამედროვე ლიტერატურით შემდეგი საგნები: შესავალი კონსტიტუციონალიზმში, საკონსტიტუციო სამართალწარმოება, სააღსრულებო სამართალი, იურიდიული ფსიქოლოგია, ევროკავშირის სამართალი, ადამიანის ძირითადი უფლებები, საკორპორაციო სამართალი, საფინანსო სამართალი, ფასიანი ქაღალდების სამართალი.

2. საგანში - „შესავალი კონსტიტუციონალიზმში“ გადაიხედოს სასწავლო თემატიკა და წარმოდგენილ იქნეს იმგვარად, რომ საგნის სახელწოდება იფარებოდეს თემატიკით.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციაზე ორიენტირებული და აუცილებელია მასში აისახოს საქართველოს კონსტიტუციის მიერ დადგენილი საკონსტიტუციო ორგანოთა რეგლამენტაცია, აუცილებელია გადაიხედოს სილაბუსი და დაემატოს საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების, სახელმწიფო ფინანსებისა და კონტროლის მიმართულებები,
4. აკადემიური წერა იურისტებისთვის - საგნის თემატიკიდან ამოღებულ უნდა იქნეს სამართლებრივი წერისათვის დამახასიათებელი შინაარსობრივი საკითხები (მაგალითად, გასაჩივრების დოკუმენტები, საქმიანი კორესპონდენცია, განცხადება, ინფორმაციის გამოთხოვა და მსგ.), მათ ნაცვლად საგანმა უნდა მოიცვას უშუალოდ აკადემიური წერის შინაარსობრივი თემატიკა.
5. აღმოიფხვრას შესავალი კონსტიტუციონალიზმისა და სამართლის საფუძვლების თემატური ურთიერთგადაფარვა (სახელმწიფო, სახელმწიფოს ფორმები, სახელმწიფოს მექანიზმი და ა.შ.)
6. შესავალი იურიდიულ პროფესიაში არ პასუხობს საგნის შინაარსს, იგი სრულად ორიენტირებულია იურიდიულ პროფესიათა ეთიკაზე. საგნის შინაარსი და სახელწოდება მოვიდეს შესაბამისობაში საგნის სახელწოდების შეცვლის, ან თემატიკის სრულად განახლების გზით.
7. საქმიანი წერა შინაარსობრივად უნდა გამდიდრდეს რამდენიმე სამართლებრივი თემატიკით და დაერქვას სამართლის სწავლის სფეროსთვის შესაბამისი სახელი, წინააღმდეგ შემთხვევაში გადატანილ იქნეს სწავლის ძირითადი სფეროს მიღმა არჩევით საგნებში ან თავისუფალ კრედიტებში.
8. საკონსტიტუციო სამართალწარმოება - შინაარსობრივად არ ფარავს სრულად საკონსტიტუციო სამართალწარმების საკითხებს, სილაბუსში ძირითადად წარმოდგენილია საკონსტიტუციო კონტროლის თემატიკა. აუცილებელია საკონსტიტუციო სამართალწარმოების არსებითი საკითხების ზრდა და მათი შესაბამისი, თემატური წყაროების ინტეგრირება სილაბუსში.
9. რეპეტიტორიუმი კერძო სამართალსა და სისხლის სამართალში შინაარსობრივად ზედმიწევნით იმეორებს შესაბამისი მიმართულების საგნების თემატიკას, წყაროებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რაც რეალურად საგნების დუბლირებაა და არა ცოდნის გაღრმავება. აუცილებელია გაიმიჯნოს რეპეტიტორიუმების შინაარსობრივი თემატიკა, ლიტერატურა და შეფასების კრიტერიუმები სავალდებულო საგნებისგან.
10. იურიდიული ფსიქოლოგიის თემატიკის 2/3 ზოგადი ფსიქოლოგიიდანაა აღებული, აუცილებელია საგნის ორიენტირება სრულად სამართალზე. ფსიქოლოგიის საფუძვლების საკითხები ამოღებულ უნდა იქნეს სილაბუსიდან და იგი გამდიდრდეს საკონსტიტუციო და კერძოსამართლებრივი ფსიქოლოგიის თემატიკით, არ ორიენტირდებოდეს მხოლოდ სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაზე, რითაც ვერ ამოიწეურება საგნის სახელწოდება.
11. გადაიხედოს ევროკავშირის სამართლის საგნის სილაბუსი, ამოღებულ იქნეს სრულიად არარელევანტური და საგნის შინაარსთან კავშირში არმყოფი თემატიკა (მაგ., მე-9 და მე-10 თემები), განივრცოს უშუალოდ დარგის საკითხებით.
12. ადამიანის ძირითადი უფლებების შინაარსი გადახალისდეს, დაემატოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია, კაზუსის შეფასების მეთოდიკა შესაბამისობაში მოვიდეს ევროსასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტთან, თემატიკაში გათვალისწინებული იქნეს მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებ საკითხები.

13. რეპეტიტორიუმი ადმინისტრაციულ სამართალში - საგნის შინაარსი არ შეესაბამება საგნის სახელწოდებასა და რეპეტიტორიუმის მიზნებს და შედეგებს. შინაარსით საგანი ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს მიემართება, შესაბასად, აუცილებელია საგნის სახელწოდების ცვლილება და რეალობის გათვალისწინება, ან საგნისთვის სახელის დატოვება და მთლიანი შინაარსის ცვლილება სახელწოდების შესაბამისად.
14. სასწავლოს კურსის „რეპეტიტორიუმი კერძო სამართალში“ სილაბუსში, ძირითადად განხილულია სანივთო და ვალდებულებითი სამართალი, ხოლო სახელშეკრულებო სამართლის საკითხები მწირად არის წარმოდგენილი. ასევე, საერთოდ არ არის მოცემული მასთან დაკავშირებული და უშუალო კორელაციაში მყოფი საკთხები მომიჯნავე დარგებიდან, შესაბამისად, მიზანშეწონილია, სასწავლო კურისის ფარგლებში განხილული იყოს პროცესუალურ- სამართლებრივი საკითხები. კომბინირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სამართლის სხვადასხვა დარგის ნაზავი, რომლშიც მიზნობრივად იქნება ინკორპორირებული საპროცესო სამართალიც. ასევე, მნიშვნელოვანია, რეპეტიტორიუმის დაფუძნება უპირატესად სასამართლო პრაქტიკაზე. აუცილებელია, მოხდეს მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვა და მათი ანალიზი აღნიშნულ კურსში, რაც წამოდგენილი სილაბუსიდან არ იკვეთება.
15. „სააღსრულებო სამართლის“ სილაბუსში, მიზანშეწონილია, გადაიხედოს სწავლების მეთოდები, რადგან თუ კონკრეტულ სილაბუსში (ეხება არამხოლოდ ამ, არამედ სხვა საგნებსაც) მითითებულია სწავლების მეთოდები, მაშინ იგი რელევანტური და სწავლების დროს რეალურად გამოყენებადი უნდა იყოს, ასევე, ეს უნდა ჩანდეს სილაბუსიდან.
16. მიზანშეწონილია, გადაიხედოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მოხდეს ამ რაოდენობის გაზრდა.
17. მე-10 კვირის ლიტერატურაში მიზანშეწონილი იქნება ი.ბურდულის დამაფუძნებელი სტატის მითითება, რომელიც სავალდებულო სატენდერო შეთავაზებასა და აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტებს შეეხება.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება და მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მეოთხე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

16:58 საბჭოს სხდომა დატოვა დიმიტრი გეგენავამ

მეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№434, 9.12.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი/Bachelor of Computer Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი Software and Applications Development and Analysis
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, №2, 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

17:02 საბჭოს სხდომას შემოუერთდა პაატა ბრეკაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

17:04 საბჭოს სხდომას შემოუერთდა ირმა წერეთელი

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 11-12 ნოემბერს. ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2020 წლის 9 ნოემბერს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2020 წლის 11 ოქტომბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. 2020 წლის 12 ნოემბერს ვიზიტი გაგრძელდა Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელთან, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან. შემდეგ განხორციელდა უნივერსიტეტში ვიზიტი, სადაც უშუალოდ ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები. ასევე მოხდა საბაკალავრო და პრაქტიკის ანგარიშების გადახედვა. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

მიზნების აღწერაში:
1-ლი და მე-3 პუნქტი ჩემოყალიბდეს ნაკლები დეტალიზირებით „კომპიუტერული მეცნიერების“ სპეციალობის ზოგადი მიზნის აღწერით;
მე-2 პუნქტში მოხდეს ტექნოლოგიური სფეროს ცხადი სახით ჩამოყალიბება;

სწავლის შედეგების აღწერაში:
„ცოდნა და გაცნობიერება“ - პუნქტები გაიწეროს საგნების სწავლის შედეგების განზოგადების სახით; ამოღებულ იქნას უნარების აღმწერი ჩანაწერები.
„უნარები“ - გაიწეროს ზოგადი დარგობრივი უნარების სახით ცოდნის არეებზე ზედმეტი კონცენტრაციის გარეშე.
„ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი.

1. შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისათვის, უნივერსიტეტში შემუშავებული წესების შესაბამისად.
2. ცხადი სახით გაიწეროს პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის;
3. „კომპიუტერის არქიტექტურა“ გამდიდრდეს უფრო მეტი სიღრმისეული საკითხებით და გადაინაცვლოს ერთი სასწავლო წლით ზემოთ;
4. მოხდეს საგანთა დასახელებების სინქრონიზაცია სილაბუსების შიგთავსთან, კერძოდ:

- პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა - ძირითადი საკითხები დაპროგრამების ენა java -ს აღწერს;
- კომპიუტერული მეცნიერებების თეორიული საფუძვლები - ძირითადი საკითხები
- გამოთვლების საფუძვლებს და კომპიუტერულ ლოგიკას აღწერს;
- მონაცემთა ბაზები - მონაცემთა ბაზის შემუშავების პროგრამების აღწერაა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების მენეჯმენტი - MS Project პროგრამული პაკეტის შესწავლაა;
- სემინარი - LaTeX სისტემა და მისი გამოყენება;
- კომპიუტერული გრაფიკა 1 და 2 - აღწერს კომპიუტერული გრაფიკული ელემენტების შემუშავების კონკრეტული პროგრამული ინსტრუმენტების საშუალებით;
- სტაჟირება - შინაარსით პროფესიულ პრაქტიკას უფრო შეესაბამება.

5. განახლდეს რიგ სილაბუსებში ძირითადი სასწავლო ლიტერატურა
6. მონაცემთა ბაზების კურსს დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზების საკითხები
7. რეკომენდირებულია, გამოცდის ჩატარების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობის პრინციპი და სტუდენტთა იდენტიფიცირება არ მოხდეს საგამოცდო ნამუშევრის შემოწმებისას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მიზნების აღწერაში არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის მიზნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები

და გაზიარებულია მათ მიერ. და იგი ცხადად გადმოსცემს საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს/ამოცანას და შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან და შეფასების კრიტერიუმებთანდა კარგად ასახავს საბაკალავრო საფეხურზე სწავლების მიზნებს. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამები ასევე შეფასებული აქვთ დარგის საერთაშორისო ექსპერტებს, კერძოდავსტრიის იოჰანეს კეპლერის სახელობის ლინცის უნივერსიტეტის და ტიმიშოარასდასავლეთის უნივერსიტეტის პროფესორებს, რომლებმაც ის დადებითად შეაფასეს. შესაბამისად, დაწესებულების მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეკომენდაციების შესაბამისად ფორმულირება არ გამოიწვევს მის გაუმჯობესებას.
რაც შეეხება რეკომენდაციას სწავლის შედეგებთან მიმართებით, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას პროგრამის სწავლის შედეგები: შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; და ა.შ. ექსპერტთა რეკომენდაციიდან ვერ ვლინდება რომელი სტანდარტთან და/ან ქვესტანდარტთან მოდის წინააღდეგობაშიპროგრამაში მოცემული ფორმულირება.აკრედიტაციის სტანდარტები არ ზღუდავს სწავლის შედეგების ფორმულირებისას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და სწავლის შედეგების კლასიფიკატორით განსაზღვრული ცოდნა და გაცნობიერების და უნარების კომბინირებას და აღნიშნულს ხარვეზად არ მიიჩნევს. პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით და აქცენტს აკეთებს ყველა იმ შედეგზე, რაც მნიშვნელოვანია დარგში და დასაქმების ბაზარზე. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება გამოიწვევს მხოლოდ სწავლის შედეგების გადაადგილებას, შინაარსობრივად არ შეცვლის მათ და დაარღვევს ფორმულირებას რომ მიღებულ ცოდნასთან ერთად ჩანდეს რაში გამოიხატება მიღებული ცოდნა. თუკი ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით ხარვეზის დასადასტურებლად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანართი 2-ით აღწერილი, განზოგადებული სწავლის შედეგების – აღმწერების სრული შესაბამისობაა მოაზრებული, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არ ვთვლით რომ აკრედიტაციის სტანდარტები ასეთ მოთხოვნას აყენებდეს და მაინც, თუ ზუსტი შესაბამისობაა მოთხოვნილი, მაშინ პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნა გაცნობიერებასა და უნარებს შორის გამყოფი ხაზის მოხსნა ამ საკითხსაც აქტუალურობას უკარგავს.
მნიშვნელოვანია ასევე ავტონომიურობისა და პასუხიმგებლობის აღმწერ პუნქთთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაცია, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული მრავალი ტრეინინგების და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა, რომლის დროსაც ხაზგასმული იყო სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელობა და შესაძლებლობის არსებობის მნიშვნელობა. დაწესებულებას არ შეუძლია საგანმანათლებლო პროცესში შევქმნათკომპლექსური, არაპროგნოზირებადი სასწავლო ან/და სამუშაო გარემო, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული მრავალი ტრეინინგების და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდარომლის დროსაც ხაზგასმული იყო სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელობა და შესაძლებლობის არსებობის მნიშვნელობა. დაწესებულებას არ შეუვიძლია შევქმნათ სასწავლო კურსებში და პრაქტიკაში, კომპლექსური არაპროგროზირებადი სასწავლო ან/ და სამუშაო გარემო დაწესებულება ვერ შეაფასებს და ვერ დაადასტურებთ რომ

კურსდამთავრებული მის მომავალ საქმიანობას განახორციელებს ეთიკის პრინციპების დაცვით. დაწესებულების წარმომადგენელი ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს და აქვს უნარი განახორციელოს საქმიანობა ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით. და აღნიშნულის შეფასება შესაძლებელია, ამიტომ მე-10 პუნქტი „ავტონომიურობა პასუხისმგებლობა“ ჩამოყალიბებულია ისე როგორც გაწერილია პროგრამაში, კერძოდ: კურსდამთავრებულს შეუძლია კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში საკუთარი ცოდნის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება; შესაბამისად, სხვა პუნქტების ჩამატება დაწესებულებას არ მიაჩნია მიზანშეწონილად და შესაბამისად არ ეთანხმება რეკომენდაციას.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების პოზიცია სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამისთვის, რომელიც შემუშავებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლოპროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის“ (დოკუმენტის No: IBSU.R36I3.G) საფუძველზე. დაწესებულება იზიარებს ექსპერტების მოსაზრებას რომ უნდა გაუმჯობესდეს აღნიშნული დოკუმენტი და მას დაემატოს „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციით“ (დოკუმენტის No: IBSU.R36I3.G) განსაზღვრული სავალდებულო მონაცემები: სწავლის შედეგების შეფასების გეგმა/შეფასების პერიოდულობა, არადამაკმაყოფილებელ შედეგზე რეაგირების პერიოდი.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში ,,შზსუ“) შემუშავებულია ,,საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის წესი“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 04/10/2017 წ.).საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვას შზსუ-ში ხელმძღვანელობს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამებზე ჩარიცხვის წესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის, ყველა საჭირო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე. აღნიშნული ბმულიასევე მითითებულია უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების აღმწერ ვებ გვერდზეც. ექსპერტები ინტერვიუს დროს შეხვდნენ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსს. ვიზიტის დროს კითხვები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის პროგრამაზე დაშვების პირობების გაწერასთან დაკავშირებულ საკითხებზე ექსპერტების მიერ არ დასმულა.აღნიშნულ შემთხვევაში ექსპერტებს ეს ინფორმაცია ვიზიტის პერიოდშივე მიეწოდებოდათ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები წარმოდგენილი სახით და არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა სრულად აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს. ამასთან, ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხების ამსახველი მასალის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მისი დეტალურად გაწერა თვით პროგრამაში. შესაძლებელია პროგრამაში ჩამატებული იქნას შემდეგი სახის ჩანაწერი: „პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, თუმცაღა დაწესებულება მიიჩნევს, რომ ამის საჭიროება არ არის, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, ეს ინფორმაცია მითითებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის აღმწერ ვებ გვერდზე.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა გაბმარტა, რომ კომპიუტერის არქიტექტურის კურსი თვისობრივად და რაოდენობრივად იკვლევს კომპიუტერის დიზაინს, ასწავლის კომპიუტერული არქიტექტურის საფუძვლებს და ორგანიზაციას, მათ შორის ცენტრალური მართვის ერთეულს, მეხსიერებას, რეგისტრებს, არითმეტიკულ ერთეულს, საკონტროლო ერთეულს და შემავალ/გამომავალ კომპონენტებს. კურსი ასევე მოიცავს შემცირებულ სიმრავლეს კომპიუტერული სისტემების არქიტექტურის (RISC), MIPS ცენტრალური პროცესორის გამოყენებას მაგალითისთვის, ინტერფეისს მაღალი დონის პროგარმულ ენასა და მანქანურ ენას assembly-s შორის, ინსტრუქციებს და მეხსიერების cache სისტემებს, წარმადობის შეფასებას და კრიტერიუმებს. სილაბუსის შედგენისას გათვალისწინებულია სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტების

გამოცდილება. იგი წარმოადგენს შესავალ კურსს, რომელიც სტუდენტს აძლევს შემდეგ ცოდნას: კომპიუტერული სისტემების სტრუქტურის, ორგანიზების, ოპერაციისა და ურთიერთკავშირის ცოდნა, მათი პროგრამირების საფუძვლები და ამ ცოდნის გამოყენება საინჟინრო პრობლემების გადაჭრაში. ცენტრალური მართვის ერთეულის ფუნქციონალური ერთეულების გააზრება: რეგისტრების ფაილური სისტემა და არითმეტიკული ლოგიკური ერთეული. ძირითადი სისტემური ნაწილების გააზრება: ერთციკლიანი (MIPS), მრავალციკლიანი (MIPS), პარალელური, კონვეიერებული, სუპერსკალარული, და RISC/CISC არქიტექტურა მეხსიერების შემცველი კომპიუტერული პროცესორის დიზაინისა და აგებულების გააზრება, მისი წარმადობის შეფასება ღირებულების მიხედვით. კომპიუტერული სისტემების რაოდენობრივი შეფასებისადა cache ქვესისტემებეის გაცნობა. ჩამოთვლილი ცოდნა დაგაცნობიერება კი სტუდენტს სხვა კომპეტენციების შეძენის შესაძლებლობას აძლევს, ისეთის, როგორიცაა დაპროგრამების საფუძვლები და სხვა. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული კურსი უნდა დარჩეს სწავლების იმავე ეტაპზე.

მნიშვნელოვანია ასევე ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ, ,,პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის“ სასწავლო კურსთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსის მთავარი მიზანია ობიექტზე ორიენტირებულ პარადიმის გამოყენებით გაძლიერებული და პროგრამებს ტექნიკისა და მეთოდების გამოყენება java-ში. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება:· ობიექტზეორიენტირებულიპროგრამირებაჯავაში; ჯავაში ობიიექტზე ორეინტირებული პარადიგმის გამოყენება; რთული მეთოდების გამოყენება (კონკურენცია, გადაწვეტისპატერნებისგამოყენება); ჯავას გამოყენებით პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. პროგრამისტების წინაშე მდგარი ამოცანები სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება. ამასთან,მაღალი ტემპით იზრდება დასამუშავებელი ინფორმაციის ზომა. თუ ცოტა ხნის წინათ ინფორმაციის განზომილების ჩვეულებრივი ერთეული იყო კილობაიტი და მეგაბაიტი, დღეს უკვე ლაპარაკია გიგაბაიტებსა და ტერაბაიტებზე. როგორც კი პროგრამისტები მოახდენენ მათ წინაშე მდგარი ამოცანის მეტნაკლებად მისაღებ გადაწყვეტას, მაშინვე წარმოიშვება ახალი, უფრო რთული ამოცანები. პროგრამისტები იგონებენ და ამუშავებენ ახალ მეთოდებს, ქმნიან ახალ ენებს. პროგრამირების ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში წარმოიქმნა ასობით ენა, დამუშავებულია და პროგრამების უამრავი მეთოდი და სტილი. ზოგიერთი მათგანი საყოველთაოდ მიღებული ხდება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოადგენენ პროგრამირების ძირითად მიდგომას. დაპროგრამების დაჩქარებისა და გამარტივების მიზნით შეიქმნა მაღალი დონის ალგორითმულიენები: Fortran, Algol და ასობით სხვა. ამენების გამოყენებით მანქანური ბრძანებების (კოდის) შექმნის რუტინული ოპერაციების განხორციელება დაეკისრა კომპილატორებს. ყველა მაღალი დონის ენაში მოხდა პროცედურებისა და ფუნქციების დაწერის საშუალებების ჩართვა. სხვადასხვა საგნობრივი სფეროსათვის პროცედურებისა და ფუნქციების უამრავი ბიბლიოთეკა შეიქმნა. დაპროგრამების ენები მოთხოვნისამებრ იმდენად სწრაფად იქმნება და ვითარდება, რომ რთულია ყველა ენის საგნობრივ სილაბუსად და კურსად ჩამოყალიბებაან ერთ 15 კვირიან სასწავლო პროცესში ყველა ენის მიმოხილვა. ამიტომ ლექტორის მიერ არჩეულ იქნა პროგრამირება ჯავის საფუძველზე და გაეცნო სტუდენტებისათვის პროგრამირების ძირითადი მოთხოვნები: ·მოდულურობა; კითხვადობა; პროგრამის შესრულების სტანდარტული მართვის სქემები; დოკუმენტირება; ტესტების შედგენა პროგრამის დამუშავების ადრეულ ეტაპზე, რათა მათ შემოდგომში თავისუფლად გამოეყენებინათ ეს მიდგომები სხვა დაპროგრამების ენებისათვის. სწორედ ამიტომ, დაწესებულება თვლის, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი უცვლელი დარჩეს.

რაც შეეხება ,,კომპიუტერული მეცნიერებების თეორიულ საფუძლებს“, კურსი გააცნობს სტუდენტებს კომპიუტერული მეცნიერებების საფუძვლების. კერძოდ, კურსის ფარგლებში წაკითხული იქნება ის ძირითადი თემები, რომლებიც საჭიროა კომპიუტერული მეცნიერებების სხვადასხვა დარგების შესასწავლად: პროპოზიციული ლოგიკა, პრედიკატული ლოგიკა, გამოყვანა პროპოზიციულ და პრედიკატულ ლოგიკაში, უნიფიკაციის თეორია, სასრული

ავტომატები, რეგულარული ენები, რეგულარული გამოსახულებები, უკონტექსტო ენები, მჭიდური ავტომატები, ტურინგის მანქანა და ენების გადაწყვეტადობასთან დაკავშირებული საკითხები. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები გამოიმუშავებენ შემდეგ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს: ლოგიკის ფუნდამენტალური ცნებების, ტექნიკების და ტერმინოლოგიის ცოდნა; ავტომატების თეორიის და ფორმალური ენების ფუნდამენტალური ცნებების, ტექნიკების და ტერმინოლოგიის ცოდნა; მათემატიკური მტკიცების და ლოგიკური გამოყვანის პრინციპების გაცნობიერება; გამოთვლის ფორმალური მოდელების გაცნობიერება; კომპიუტერული მეცნიერებების მათემატიკური საფუძვლების გაცნობიერება; პრობლემის ალგორითმულად ამოხსნის გაცნობიერება. აქედან გამომდინარე, კურსი ეხებაარა მარტო გამოთვლების საფუძვლებს და კომპიუტერულ ლოგიკას, არამედ ფორმალური მეთოდების, როგორც პროგრმირების ენის, ძირითადი მახასიათებლების და პრინციპების გაცნობიერებას. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს გარესამყაროს ზოგიერთი ამოცანის მოდელირების და ალგორითმულად ამოხსნის ფორმულირებას, საკუთარი ცოდნის სხვებისთვის თავისუფლად გაზიარებას; ლოგიკაში, ავტომატების თეორიაში და ფორმალურ ენებში სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას და შეცნობას. შესაბამისად, სილაბუსი კარგადაა წარმოდგენილი და ის უნდა იყოს პროგრამაში ჩართული.

აღსანიშნავია ასევე, ,,მონაცემთა ბაზების“ სასწავლო კურსი, კერძოდ, აღნიშნული კურსი ფარავს ისეთ თემებს როგორიცაა ინფორმაციულ მოდელებს და სისტემებს, კურსის დასრულების მერე მათ ეციდნებათ საწყისები მონცამემთა ბაზების საწყისებში, მონაცემთ მოდელირებაში, რელაციური მონაცემთ ბაზებში და მონაცემთა მოთხოვნის(query) ენაში. კურსი დაფუძნებულია Oracle Database 11g Express Edition სისტემაზე.კურსი სტუდენტებს უვითარებს უნარ ჩვევებს აღნიშნულ საგანში. თუმცა, კარგი იქნება სილაბუსში თუ დაემატება NoSql, ამ საკითხში ინსტიტუცია ეთანხმება ექსსპერტთა რეკომენდაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსზე და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს პროექტის შეადგენისა და მენეჯმენტის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით სასწავლო კურსი შეიცვალა ნაწილობრივ, დაემატა პროექების მენეჯმენტთან დაკავშირებული ზოგადი თეორიული საკითხები, განხილული იქნა პროექტების მენეჯმენტის თანამედროვე კომპიუტერული სისტემები. შერჩეული იქნა MS Project მისი სიმარტივის და ხელმისაწვდომობის გამო.

აღსანიშნავია ასევე სემინარი - LaReX სისტემა და მისი გამოყენების საკითხი, კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საგნების დასახელება და შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისია და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში სამივე საფეხურზე ტარდება. სემინარზე სტუდენტები ეცნობიან დარგში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას და სტანდარტებს. ერთ-ერთი ასეთი სტანდარტია LaTeX-ის ცოდნა, რაც კომპიუტერული მეცნიერების კურსდამთავრებულისთვის სავალდებულოა, ისევე როგორც, ჰუმანიტარისთვის რაიმე ტექსტური რედაქტორის ცოდნა. სწავლობენ თუ როგორ მოამზადონ მოხსენება, როგორ წარმოაჩინონ თავიანთი ნაშრომი, როგორ დასვან საკვლევი ამოცანა, როგორ ჩამოაყალიბონ თეზისის სტრუქტურა, როგორ მოამზადონ საპროექტო წინადადება, როგორ დაწერონ ტექნიკური დოკუმენტები, და ზოგადად როგორ წარმოაჩინონ თავისი ნაშრომი საუკეთესო სახით. ამასთან, სემინარზე სტუდენტები ეცნობიან დარგში მიმდინარე თანამედროვე კვლევებს და თუ რა როლი უკავიათ ამ კვლევების წარმოებაში მათ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს. დასავლეთის უნივერსიტეტებში სემინარები როგორც წესი ტარდება ნაკლებად ფორმალურ გარემოში, სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულიად გახსნილად წარმოაჩინოს თავისი ინტერესები, დისკუსია გამართოს სემინარის მონაწილეებთან დარგში არსებულ გამოწვევებზე და მათ შესაძლო ამოხსნებზე. მაგალითისთვის შესაძლებელია გამოვიყენოთ კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის სამაგისტრო/სადოქტორო სემინარების ნიმუშებს ისეთი ცნობილი უნივერსიტეტებიდან, როგორიცაა კენტის უნივერსიტეტი, ETH ციურიხი და სტენფორდის უნივერსიტეტი.

რაც შეეხება კომიუტერული გრაფიკა 1 და 2, დაწესებულება სრულიად ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციას, კერძოდ, შესაძლებელია კურსების სახელწოდების დაკონკრეტება როგორც: სამგანზომილებიანი გრაფიკა - Blender-ში 1 და 2. შესაძლოა სასწავლო კურსს ასევე გადაერქვას Blender-ის საწყისები, ვინაიდან პირველ ნაწილში ისწავლება არქიტექტურული ელემენტები, მოდელირება და ინტერფეისი, ხოლო მეორე ნაწილში განიხილება მისი სიღრმისეული შეცნობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება არქიტექტურას, ციფრულ ძერწვას, ტექსტურირებას, ანიმაციებსა და ნაწილაკების შექმნას, შესაბამისად შესაძლებელია გადაერქვას Blender-ის გაძლიერებული კურსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ სტაჟირება წარმოადგენს ინგლისურის internship-ის ქართულ შესტყვისს, შინაარსობრივად კი მოიცავს პროფესიულ პრაქტიკას და ის წარმოადგენს მე-4 კურსზე სავალდებულო საგანს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულება ეთანმხება ექსპერტთა მოცემულ რეკომენდაციას და ლიტერატურა განახლდება მთელ რიგ სილაბუსებში, თუმცა ზოგიერთი საგანში ხორციელდება მხოლოდ გამოცემების განახლება, ძირითადი ინფორმაცია უცვლელი რჩება. მაგალითად დაპროგრამების ენა C, რომელიც არ ვითარდება და გამოიყენება დაპროგრამების ენების ძირითადი პრინციპების გასაცნობად.
მნიშვნელოვანია ასევე მე-7 რეკომენდაციას, კერძოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი, რომელიც უნივერსიტეტში არსებული არეგულაციების მიხედვით, რომელიც მუდმივად განიცდის განახლებასა და გაუმჯობესებას საგამოცდო პროცესს ლექტორი ძირითადად არ ესწრება. ზოგიერთ შემთხვევაში გამოცდის დასაწყისში ლექტორი გამოცდის დაწყებისას 10 წუთი შედის გამოცდაზე სტუდენტებთან გარკვეული სახის კონსულტაციების ჩასატარებლად, კითხვებზე პასუხის გასაცემად. დასკვნის პროექტში დასახელებული რისკი განეიტრალებულია სრულიად გახსნილი და თავისუფალი გასაჩივრების შესაძლებლობით და პროცესით და სტუდენტების იდენტიფიკაციით შეფასების ხარისხი და ობიექტურობაარ იკლებს. უნსთივერსიტეტში აპრობირებული პრაქტიკაა ნამუშვრების ინდივიდუალური განხილვა სტუდენტებთან და პრობლემების იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე დაწესებულება მიიჩნევს, რომ საგამოცდო პროცესი კარგად ორგანიზებულია, თუმცა უნივერსიტეტის რიგი სამსახურები მუშაობენ მის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე. საგამოცდო სისტემის აპრობირებული პრაქტიკა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, აკრედიტაციის სტანდარტებს და საერთაშორისო პრაქტიკას და აღნიშნული რეკომენდაციის განსაზღვრა არ არის გამართლებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ გამოყო ,,საინფორმაციო ტექნოლოგების პროექტების მენეჯმენტის“ სილაბუსის საკითხი და აღნიშნა, რომ სახელწოდება არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარს, რადგან სახეზეა არა საინფორმაციო პროექტების მენეჯმენტი, არამედ, წარმოდგენილია სტანდარტული MS პროექტის სილაბუსი. MS პროექტის სწავლება შესაძლებელია ნებისმიერ ფაკულტეტზე, სადაც მენეჯმენტის კუთხით დაგეგმვა არის საჭირო. აღნიშნული ფაკულტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანია პროექტების მართვის სწავლება განხორციელდეს სისტემურად. აუცილებელია ასევე თეორიული მასალის სიღრ მისეული გამდიდრება. პროგრამა საჭიროების პროექტების მიმართულების გაძლიერებას.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში საკმაოდ მარტივად არის წარმოდგენილი უსაფრთხოების საკითხები, მაშინ, როცა უსაფრთხოება დღეს წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორც კომპანიის, ასევე სახელმწიფო დონეზე. პროგრამაში წარმოდგენილია ,,კიბერუსაფრთხოების“ სასწავლო კურის, თუმცა აღნიშნული ასევე საჭიროებს გაძლიერებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე მაქსიმალურად ხდება ამ კუთხით ცოდნის გაღრმავება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების მენეჯმენტის" სილაბუსით გათვალისწინებულია მხოლოდ MS პროექტები, რაც ნამდვილად საჭიროებს დახვეწას. უცოხური გამოცდილებიდან გამომდინარე, MS პროექტები, ნაკლებად პოპულარულია. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის სახელმწოდება საერთოდ არ შეესაბამება მასში მოცემულ შინაარსს. რაც შეეხება ,,კომპიუტერის არქიტექტურის" საკითხს, აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასწავლო კურსს პროგრამის ფარგლებში. ვიზიტის მსვლელობისას განიხილებოდა აღნიშნული სასწავლო კურსის გაძლიერების საკითხი, რის საფუძველზეც, მოხდებოდა ის არა პირველი სემესტრის, არამედ მომდევნო სემესტრების საგნად ტრასფორმირება, რადგან, გაძლიერების შედეგედაც სტუდენტს უნდ სცოდნოდა გარკვეული ალგორითმები რათა ჰქონოდა შემდგომ საგნის დაძლევის შესაძლებლობა.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა უსაფრთხოების სწავლების მნიშვნელობა და განმარტა, რომ რიგ სილაბუსებში მოცემულია უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც შემდგომ მაგისტრატურის საფეხურზე არის გაძლიერებული და ისწავლება სიღრმისეულად.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა ,,კომპიუტერული არქიტექტურის" სილაბუსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი, რომელიც ეყრდნობა ACM-ის საკურიკულუმო რეკომენდაციას უნდა მოიცავდეს ორ კომპონენტს. პირველი წარმოადგენს საწყისს, ხოლო მეორე მეტად გაღრმავებულ ნაწილს. არქიტექტურასა და ორგანიზაციაში პირველ საწყის ეტაპზე, საერთოდ არ მოიაზრება არც ერთი საათი. ის, რომ ,,კომპიუტერული არქიტექტურა" პირველ სემესტრში არ უნდა ისწავლებოდეს გამომდინარეობს თავად დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშიდან.
რაც შეეხება LaReX სისტემასა და მისი გამოყენების საკითხს, აღნიშნულ შემთხვევაშიც სახელწოდებასა და სასწავლო კურსის შინაარს შორის არის შეუსაბამობა და არ არის მოცემული თუ კონკრეტულად რა ისწავლება კურსის ფარგლებში. ექპერტმა ასევე აღნიშნა, რო პროგარმსი სახელწოდებაა ,,კომპიუტერული მეცნიერებები" შესაბამისად ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხები, რაც გათვალისწინებულია პროგრამით სავსებით საკმარისია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის I სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან";
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიზნების აღწერაში:

1-ლი და მე-3 პუნქტი ჩემოყალიბდეს ნაკლები დეტალიზირებით „კომპიუტერული მეცნიერების“ სპეციალობის ზოგადი მიზნის აღწერით;

მე-2 პუნქტში მოხდეს ტექნოლოგიური სფეროს ცხადი სახით ჩამოყალიბება;

2. ცხადი სახით გაიწეროს პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის;

3. რეკომენდირებულია, გამოცდის ჩატარების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობის პრინციპი და სტუდენტთა იდენტიფიცირება არ მოხდეს საგამოცდო ნამუშევრის შემოწმებისას.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 9 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

3. მესამე : შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№8, 01.02.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი/Master of Computer Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი Software and Applications Development and Analysis
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, №2, 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 11-12 ნოემბერს. ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2020 წლის 9 ნოემბერს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2020 წლის 11 ოქტომბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. 2020 წლის 12 ნოემბერს ვიზიტი გაგრძელდა Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელთან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან. შემდეგ განხორციელდა უნივერსიტეტში ვიზიტი, სადაც უშუალოდ ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები. ასევე მოხდა სამაგისტრო ნაშრომების გადახედვა. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ცხადი სახით გაიწეროს პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის;
2. სწავლის შედეგების აღწერაში: „ცოდნა და გაცნობიერება“ - მე-3 პუნქტი გაიწეროს დარგობრივი ცოდნის აღწერის სახით; ამოღებულ იქნას უნარების აღმწერი ჩანაწერები; „უნარები“ - მე-4 და მე-8 პუნქტებში მოხდეს შესაბამისი ფრაზების

გადანაცვლება/ფორმულირება პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა შესაბამისად ან/და ჩანაცვლდეს დარგობრივი უნარების არწერით; „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტ(ებ)ი.
3. შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა კომპიუტერული მეცნიერების სასმაგისტრო პროგრამისათვის, უნივერსიტეტში შემუშავებული წესების შესაბამისად.
4. საგნის დასახელების და შინაარსის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საგანებიდან სემინარი I” და „სამაგისტრო სემინარი II” თემები უნდა დაჯგუფდეს და წარმოდგეს როგორც „აკადემიური წერა“;
5. საგანში „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება“ დაემატოს პროექტი;
6. სემინარი 1 და სემინარი 2 - ჩანაცვლდეს კვლევაზე ორიენტირებული საგნებით რომელიც უზრუნველყიფს პროგრამის შედეგზე გარანტირებულად გასვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში ,,შზსუ“) შემუშავებულია ,,საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის წესი“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 04/10/2017 წ.).საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვას შზსუ-ში ხელმძღვანელობს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამებზე ჩარიცხვის წესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის, ყველა საჭირო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებულია ისე, რომ სწავლის შედეგებში ასახულია დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები, აღნიშნულ დარგში რა საჭიროებებია, რა ცოდნა და უნარები სჭირდებათ დამსაქმებლებს. ამასთან, ექსპერტთა რეკომენდაციიდან ვერ ვლინდება რომელი სტანდარტთან და/ან ქვესტანდარტთან მოდის წინააღდეგობაში პროგრამაში მოცემული ფორმულირება. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები როგორც ექსპერტთა დასკვნიდან ჩანს, დაკმაყოფილებულია. აკრედიტაციის სტანდარტები არ ზღუდავს სწავლის შედეგების ფორმულირებისას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და სწავლის შედეგების კლასიფიკატორით განსაზღვრული ცოდნა და გაცნობიერების და უნარების კომბინირებას და აღნიშნულს ხარვეზად არ მიიჩნევს. დაწესებულების მხრიდან აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება გამოიწვევს მხოლოდ სწავლის შედეგების გადაადგილებას, შინაარსობრივად კი არ შეცვლის მათ და დაარღვევს ფორმულირებას, რომ მიღებულ ცოდნასთან ერთად ჩანდეს რაში გამოიხატება მიღებული ცოდნა.
ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად სწავლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო დონეზე)სწავლის შედეგების აღწერაში, კერძოდ კი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობაში“ არ არის ნახსენები ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობების საკითხები. ამასთან ერთად, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე „უნარებში“, რომელიც წარმოდგენილია მე-5 პუნქტის სახით, ნათლად წარმოდგენილიადარგის ის უნარები რისი შეძენაც შესაძლებელია სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. „უნარების“ მე-4 და მე-8 პუნქტები ნამდვილად წარმოადგენენ კურსადამთავრებულის უნარებს, რომელთა ჩამოყალიბებას უზრუნვეყოფს სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებული საგნების და სწავლის მეთოდების ერთობლიობა შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის იმ მოსაზრებას, რომ ამ პუნქტებში აღწერილი კეთილსინდისიერება და ეთიკის სტანდარტების დაცვა გადატანილი უნდა იქნეს მე-9 პუნქტში.
რაც შეეხება პასუხსმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხს, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული მრავალი ტრეინინგების და მათი რეკომენდაციების

გათვალისწინებითგანხორციელდა, რომლის დროსაც ხაზგასმული იყო სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელობა და შეფასების შესაძლებლობის არსებობის მნიშვნელობა. დაწესებულებას არ შეუძლია შექმნას სასწავლო კურსებში და პრაქტიკაში, კომპლექსური არაპროგროზირებადი ან მულტიდისციპლინარული სასწავლო ან/ და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება, შესაბამისად შეუძლებელი იქნებოდა შედეგების შეფასება. ამდენად ,მე-9 პუნქტი „ავტონომიურობა პასუხისმგებლობა“ ჩამოყალიბებულია ისე როგორც გაწერილია პროგრამაში, კერძოდ: „კურსდამთავრებულს აქვს გუნდური თანამშრომლობის და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი“, რისი შეფასებაც შესაძლებელია.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამისთვის. ვიზიარებთ ექსპერტების მოსაზრებას, რომ უნდა გაუმჯობესდეს აღნიშნული დოკუმენტი და მას დაემატოს „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციით“ (დოკუმენტის No: IBSU.R36I3.G) განსაზღვრული სავალდებულო მონაცემები: სწავლის შედეგების შეფასების გეგმა/შეფასების პერიოდულობა, არადამაკმაყოფილებელ შედეგზე რეაგირების პერიოდი.
მნიშვნელვანია ასევე მე-4 და მე-6 რეკომენდაციები, კერძოდ, საგნების დასახელება და შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისია და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში, ანალოგიურ პროგრამებზე სამივე საფეხურზე ტარდება. სემინარზე სტუდენტები ეცნობიან დარგში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას და სტანდარტებს. ერთ-ერთი ასეთი სტანდარტია LaTeX-ის ცოდნა, რაც კომპიუტერული მეცნიერების კურსდამთავრებულისთვის სავალდებულოა, ისევე როგორც, ჰუმანიტარული მეცნიერებებს მიკუთვნებული პროგრამის კურსდამთავრებულთათვის, რაიმე ტექსტური რედაქტორის ცოდნა. კურსდამთავრებულები სწავლობენ თუ როგორ მოამზადონ მოხსენება, როგორ წარმოაჩინონ თავიანთი ნაშრომი, როგორ დასვან საკვლევი ამოცანა, როგორ ჩამოაყალიბონ თეზისის სტრუქტურა, როგორ მოამზადონ საპროექტო წინადადება, როგორ დაწერონ ტექნიკური დოკუმენტები, და ზოგადად როგორ წარმოაჩინონ თავისი ნაშრომი საუკეთესო სახით. ამასთან, სემინარზე სტუდენტები ეცნობიან დარგში მიმდინარე თანამედროვე კვლევებს და თუ რა როლი უკავიათ ამ კვლევების წარმოებაში მათ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს. დასავლეთის უნივერსიტეტებში სემინარები, როგორც წესი, ტარდება ნაკლებად ფორმალურ გარემოში, სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულიად გახსნილად წარმოაჩინოს თავისი ინტერესები, დისკუსია გამართოს სემინარის მონაწილეებთან დარგში არსებულ გამოწვევებზე და მათ შესაძლო ამოხსნებზე. მაგალითისთვის, მოვიყვანთ კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის სამაგისტრო/სადოქტორო სემინარების ნიმუშებს ისეთი ცნობილი უნივერსიტეტებიდან, როგორიცაა კენტის უნივერსიტეტი, ETH ციურიხი და სტენფორდის უნივერსიტეტი.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულება სრულიად ეთანხმება ექსპერტთა მოსაზრებას და შესაბამისად, „კომპიუტერული ქსელებსა და უსაფრთხოებას“ დაემატება პროექტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:27
დასრულების დრო: 18:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის II სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4. მეოთხე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№20, 01.02.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი/Doctor of Computer Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი Software and Applications Development and Analysis
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, №2, 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 11-12 ნოემბერს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 7 ოქტომბრის N953550 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2020 წლის 9 ნოემბერს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2020 წლის 11 ოქტომბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. 2020 წლის 12 ნოემბერს ვიზიტი გაგრძელდა Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელთან, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან. შემდეგ განხორციელდა უნივერსიტეტში ვიზიტი, სადაც უშუალოდ ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები. ასევე მოხდა სადოქტორო დისერტაციების გადახედვა. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების აღწერაში: „ცოდნა და გაცნობიერება“ - ამოღებულ იქნას უნარების აღმწერი ჩანაწერები. მე-3 პუნქტი გადანაცვლდეს „უნარებში“; „უნარები“ - მე-7 პუნქტიდან ამოღებულ იქნას „სადოქტორო კვლევები“ ან მოხდეს მისი ფორმულირება უფრო ზოგადი სახით;
2. შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო პროგრამისათვის, უნივერსიტეტში შემუშავებული წესების შესაბამისად;
3. ცხადი სახით გაიწეროს პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობითა და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით და აქცენტს აკეთებს ყველა იმ შედეგზე, რაც მნიშვნელოვანია დარგისათვის და პროგრამის კურსდამთავრებულისათვის დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებულია იმგვარად, რომ სწავლის შედეგებში ასახულია დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები, გამოკვეთილია აღნიშნულ დარგში რა საჭიროებებია, რა ცოდნა და უნარები სჭირდებათ დამსაქმებლებს. მსგავსი ფორმულირები არ არის დარღვეული აკრედიტაციის შესაბამისი სტანდარტი, ქვესტანდარტი და შეფასების კრიტერიუმები. აკრედიტაციის სტანდარტებით არ არის განსაზღვრული, რომ სწავლის შედეგების ფორმულირებისას დაუშვებელია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და სწავლის შედეგების კლასიფიკატორით განსაზღვრული ცოდნა და გაცნობიერების და უნარების კომბინირება და ეს ხარვეზად მიიჩნევა.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სადოქტორო პროგრამის შემადგენლობაში სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები და კურსები ისე არის განაწილებული, რომ ამ პროგრამის დასრულების შედეგად, კურსდამთავრებული იძენს ყველა იმ თეორიული ცოდნას და უნარს, რომელიც სჭირდება მას საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობისათვის. ამ უნარის შემდგომი განვითარება და პრაქტიკაში გამოყენება დამოკიდებულია კურსდამთავრებულსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა რეგულაციებზე.

აღსანიშნავია ასევე მე-3 რეკომენდაცია, კერძოდ, სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამისთვის. ვიზიარებთ ექსპერტების მოსაზრებას, რომ უნდა გაუმჯობესდეს აღნიშნული დოკუმენტი და მას დაემატოს „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციით“ (დოკუმენტის No: IBSU.R36I3.G) განსაზღვრული სავალდებულო მონაცემები: სწავლის შედეგების შეფასების გეგმა/შეფასების პერიოდულობა, არადამაკმაყოფილებელ შედეგზე რეაგირების პერიოდი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:45
დასრულების დრო: 18: 48

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√აკრედიტაციის საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა